გზამკვლევი

2012-ის გამარჯვებულთათვის: როგორ დავიბრუნოთ მომავალი

შედგენილია „პოპულარული აკადემიის“
დამოუკიდებელ მკვლევართა ჯგუფის მიერ

თბილისი · 2025 (განახლებულია 2026 წლის მარტში)

როგორ გადავარჩინოთ საქართველოს მომავალი და წარსული

2012-ში თქვენ შეცდომა არ დაგიშვიათ.
თქვენ ღირებულებები არ შეგიცვლიათ.
შეიცვალა ის, ვისაც ხმა მიეცით.

ეს წიგნი იმის შესახებაა, თუ როგორ მოგვპარეს გამარჯვება და როგორ დავიბრუნოთ ის — მშვიდობიანად, ღირსეულად და სამუდამოდ.

გზამკვლევი

2012-ის გამარჯვებულთათვის: როგორ დავიბრუნოთ მომავალი



შედგენილია „პოპულარული აკადემიის“
დამოუკიდებელ მკვლევართა ჯგუფის მიერ

თბილისი · 2025 (განახლებულია 2026 წლის მარტში)

© „პოპულარული აკადემიის“ დამოუკიდებელ მკვლევართა ჯგუფი, 2026

ამ გამოცემის გავრცელება და ქსეროასლების გადაღება არაკომერციული მიზნებისთვის **თავისუფალია და წახალისებულია** ავტორთა ჯგუფის მიერ.

შინაარსი

ავტორებისგან: 2012 წლის გამარჯვებულებს 4

შესავალი: უხილავი ფრონტი 5

თავი 1. მილსადენი და სერვერი (ნავთობი, როგორც სიძულვილის ვალუტა) 7

სატელიტის სინდრომი 8

უხილავი არმია 10

„მეცამეტე უბნის ოპერა“ 10

თავი 2: ტვინის ჰაკერები — შიში, როგორც ოპერაციული სისტემა (პროპაგანდა, Deepfake, შიში) 13

„გლობალური ომის პარტია“ — მითის ანატომია 13

ალგორითმი, როგორც ცენზორი — ორი საქართველო ერთ ეკრანზე 15

დიდი ციფრული კედელი 16

Meta-ს ოკუპაცია: როგორ იყიდეს „ფიდი“ 16

Tik-Tok-ის ფრონტი: გართობა პოლიტიკის ნაცვლად 17

„Deepfake“ რეალობა — როცა თვალი და ყური მტერია 18

შეტევა: „ხვიჩა ხო...“ 18

„ავე მარია“ დიქტატურის ფონზე — კულტურული ალიბი 19

თავდაცვა: სიმართლის სიკვდილი 20

თავი 3: აშხაბადის დუმილი და მიუნხენის განგაში — სად არის ჩვენი ადგილი? 21

დეკემბრის ორი დღე: არჩევანი სიცოცხლესა და მირაჟს შორის 21

ჩინური ხაფანგი — პარტნიორის ჩანაცვლება ბატონით 22

„თბილისური ანომალია“ — შიში, როგორც ვალუტა 24

„დიპლომატიური ღობე“ — როგორ უკეტავენ შვილებს მომავალს 24

ეუთოს 217-გვერდიანი განაჩენი — როცა დიქტატურას ოფიციალური სახელი დაერქვა 25

ეუთოს (OSCE) „მოსკოვის მექანიზმის“ 2026 წლის ანგარიშის სტრუქტურული მიგნებები და პოზიციები 28

ბოლო ბასტიონი: რატომ არის ეკლესია საფრთხეში? 30

თავი 4: დემოკრატიის ფასი — ტვირთი თუ ერთადერთი ფარი? (ეკონომიკა, ინფრასტრუქტურა, უსაფრთხოება) 32

გეოგრაფია პლუს ნდობა = კაპიტალი 32

რას ნიშნავს ევროპა ჩემი ოჯახისთვის? (არა, ეს არ არის „გარყვნილება“) 33

უსაფრთხოება, როგორც სერვისი 34

ახალი რეალობა: როცა „ამერიკული ქოლგა“ იხურება 35

ტვინები ტვირთების ნაცვლად 36

არჩევანი ჩვენზეა 36

თავი 5: მზე დედამიწაზე — დიქტატურის აღსასრული (ტექნოლოგია vs ნავთობი) 37

რბოლა 2030-იანებისკენ: რატომ ახლა? 37

აშხაბადის მირაჟი vs. ენერგეტიკული მზე 37

განწირულები როდი ვართ, „მომავალი ჩვენია“! 38

ავტორებისგან: 2012 წლის გამარჯვებულებს

ეს წიგნი არ დაწერილა მათთვის, ვისაც ყველაფერი გარკვეული აქვს. ეს წიგნი იმათთვისაა, ვინც 2012 წლის 1 ოქტომბერს ზეიმობდა და სჯეროდა, რომ ქვეყანა სწორი მიმართულებით მიჰყავდა.

ჩვენც იქ ვიდექით. ჩვენც გვჯეროდა იმ დაპირების.

დღეს, 2026 წლის გაზაფხულზე, ბევრი თქვენგანი კიდევ უფრო მეტადაა დაბნეული. ერთი მხრიდან გესმით, რომ „ევროპა გარყვნილებაა“, მეორე მხარეს კი ხედავთ, როგორ გვეცლება ხელიდან ის სამშობლო, რომლისთვისაც მაშინ იბრძოლეთ.

ეს ტექსტი არ არის მცდელობა, დაგარწმუნოთ, თითქოს შეცდით. პირიქით — გვინდა დაგიმტკიცოთ, რომ თქვენი მაშინდელი არჩევანი სწორი იყო. სწორედ იმიტომ, რომ 2012-ში თქვენ სამართლიანობა და თავისუფლება აირჩიეთ, დღეს ვალდებულნი ხართ, ეს არჩევანი დაიცვათ.

ფსიქოლოგიაში არსებობს ცნება „ჩაძირული დანახარჯის ხაფანგი“. ეს ის მდგომარეობაა, როცა ადამიანს უჭირს აღიაროს, რომ გზა, რომელსაც 13 წელი ადგა, მცდარი აღმოჩნდა. ამის მიზეზი ისაა, რომ ამ გზაზე მან უკვე ძალიან ბევრი ემოცია, იმედი და დრო დახარჯა. რეჟიმიც სწორედ ამაზე თამაშობს: ისინი გეუბნებიან, რომ თუ დღეს „ოცნებას“ ზურგს აქცევთ, ეს ნიშნავს, რომ თქვენი წარსული არჩევანიც შეცდომა იყო. **მაგრამ ეს დიდი ტყუილია.** თქვენი არჩევანი 2012-ში შეცდომა არ ყოფილა. თქვენ აირჩიეთ თავისუფლება ძალადობის წინააღმდეგ. შეცდომა იქნება მხოლოდ ის, რომ დღეს, როცა „ოცნება“ თავად იქცა იმ ძალადობად, რომელსაც ებრძოდით, მას ინერციით კვლავაც გაჰყვეთ. ეს წიგნი სწორედ იმისთვის დაიწერა, რომ დაგეხმაროთ თქვენი არჩევანის დაცვაში — არა სინანულის გამო, არამედ იმის ამაყად გააზრებით, რომ კვლავაც სწორ მხარეს დგებით.

ეს არის გზამკვლევი იმის შესახებ, თუ როგორ მოგვპარეს გამარჯვება და როგორ დავიბრუნოთ ის — მშვიდობიანად, ღირსეულად და სამუდამოდ.

შესავალი: უხილავი ფრონტი

ამ წიგნის წერა „ფრონტის“ ხაზზე დავიწყეთ — იმ ასეულათასობით ადამიანზე ფიქრითა და ზრუნვით, ვინც 2012 წლის არჩევნებში, ჩვენსავით, ხმა “ქართული ოცნების” კოალიციას მისცა.

“ფრონტში” ვგულისხმობთ მსოფლიო მასშტაბით მიმდინარე ომის უხილავ ფრონტს — ბრძოლას ავტოკრატიასა და ლიბერალურ დემოკრატიას შორის. ეს დაპირისპირება ჯერ კიდევ მე-20 საუკუნეში დაიწყო, მაგრამ დღეს, 21-ე საუკუნის პირველ მეოთხედში, ავტორიტარიზმის შეტევამ არნახულ სისასტიკეს მიაღწია.

ამ ომში ჩვენი ქვეყნის მეზობელი, რუსეთი დომინირებს. სწორედ მან გახსნა პანდორას ყუთი 2008 წლის აგვისტოში, საქართველოში შემოჭრით. ამ ხუთდღიანმა ომმა სათავე დაუდო ექსპანსიის ახალ ეპოქას, რომელიც მოგვიანებით უკრაინაში გაგრძელდა და დღევანდელი მსოფლიო მესამე მსოფლიო ომის ზღვარზე მიიყვანა.

დღეს საქართველო ამ ფრონტის ერთ-ერთი ყველაზე ცხელი წერტილია. ქვეყანაში, რომლის ტერიტორიის 20% რუსეთს აქვს ოკუპირებული, დემოკრატია კვდება. 2024 წლის ოქტომბრის არჩევნებში ოლიგარქ ბიძინა ივანიშვილის „ქართულმა ოცნებამ“ ჰიბრიდული ომის სახელმძღვანელოთი იხელმძღვანელა. ვენესუელელი დიქტატორის, მადუროს მსგავსად, მათ არჩევნები ტოტალურად გააყალბეს. ამის მიუხედავად, თბილისის ყველა უბანზე მსხვილმა ოპოზიციურმა პარტიებმა, ჯამური მაჩვენებლებით, „ოცნებაზე“ მეტი ხმა დააგროვეს, ანუ თბილისის მასშტაბით დანამდვილებით გაიმარჯვეს, თუმცა „ოცნებამ“ რეგიონებში დაწერილი რიცხვების ხარჯზე აიყვანა თავისი შედეგები იმ 54%-იან ნიშნულამდე, რომელიც მას ოპოზიციასთან ორთაბრძოლაში გამარჯვებულად აცხადებდა.

შედეგი კატასტროფულია: ნაცვლად კოალიციური ერთობისა, მივიღეთ ერთპარტიული დიქტატი. რეჟიმმა ერთ წელიწადში იმდენი რეპრესიული კანონის მიღება მოახერხა, რასაც პუტინის რუსეთი 10 წელი მოუნდა. ციხეები პოლიტპატიმრებით გაივსო, სამოქალაქო სექტორის ნაწილს ანგარიშები დაუყადაღეს, თავისუფალი სიტყვა კი

დევნის ობიექტად იქცა. დასავლეთმა განაჩენი გამოიტანა: საქართველო აღარ არის „დემოკრატიული უკუსვლის“ მაგალითი, ის კონსოლიდირებული ავტოკრატიაა.

ჩვენთვის, ვინც ჯერ კიდევ ვიბრძვით ქუჩებსა და მოედნებზე, ეროვნული გმირის, მერაბ კოსტავას წინასწარმეტყველება რეალობად იქცა: *„დაიმახსოვრეთ, მოესწრებით იმ დროს, როცა საქართველო თავისუფალი გახდება! მაგრამ იცოდეთ, თუ მაშინაც, დამოუკიდებელ ქვეყანაში, თავისუფლებისთვის შეწყვეტთ ბრძოლას, ამ თავისუფლებას დაკარგავთ თქვენც და ქვეყანაც.“*

დღეს ეს სიტყვები, ისევე როგორც სახაროვის პრემიის ლაურეატის, პოლიტპატიმარი ჟურნალისტის, მზია ამაღლობელის მოწოდება ციხის საკნიდან — *„იბრძოლეთ, სანამ გვიან არ არის!“* — ჩვენი ბრძოლის ჰიმნია.

მაგრამ ეს წიგნი არ არის მარცხზე. ეს წიგნი არც მხოლოდ პოლიტიკაზეა. ეს წიგნი არის იარაღზე, რომელიც ამ რეჟიმებს — თბილისში, მოსკოვსა თუ კარაკასში — ძალაუფლებას გამოაცლის. ეს იარაღი არ არის ტყვია. ეს არის სინათლე.

და ჩვენი ვალია, ამ სინათლეს დავეხმაროთ.

თავი 1. მილსადენი და სერვერი (ნავთობი, როგორც სიძულვილის ვალუტა)

წარმოიდგინეთ ერთი ბარელი ნავთობი. 159 ლიტრი ბლანტი, შავი სითხე. ერთი შეხედვით, ეს უბრალოდ ენერგიაა — საწვავი, რომელიც თქვენს მანქანას ამუშავებს ან თვითმფრინავს აფრენაში ეხმარება. მაგრამ თანამედროვე დიქტატორის ხელში ეს სითხე ალქიმიურად გარდაქმნება. ის აღარ არის საწვავი ძრავისთვის; ის არის საწვავი სიძულვილისთვის.

მოდით, გავყვეთ ამ ბარელის გზას. ის ამოიქაჩება სადღაც დასავლეთ ციმბირის გაყინული ჭაობიდან, ჩაედინება მილსადენ „დრუჟბაში“ და იყიდება საერთაშორისო ბაზარზე. მიღებული ვალუტა არ მიდის სკოლების მშენებლობაში ან საავადმყოფოების აღჭურვაში. ეს ფული გაივლის რთულ გზას კვიპროსული ოფშორული კომპანიების ლაბირინთებში და საბოლოოდ, ელექტრონული იმპულსის სახით, დაჯდება ანგარიშზე სანქტ-პეტერბურგის ერთ უსახურ შენობაში, რომელსაც „ინტერნეტკვლევების სააგენტოს“ უწოდებენ.

სწორედ აქ ხდება მთავარი მაგია: ნავთობდოლარი იქცევა „ლაიქად“, „შეარად“ და კომენტარად. ციმბირული ნავთობი გარდაიქმნება იმ ქართულენოვან პოსტად, რომელიც გეუბნებათ, რომ დასავლეთი თქვენს იდენტობას ებრძვის, ხოლო რუსეთი — ერთმორწმუნე მეგობარია.

ეს არის 21-ე საუკუნის დიქტატურის ბიზნეს-მოდელი: **მიწისქვეშა რესურსების კონვერტაცია ხალხის გონების კონტროლში.**

ძველ დროში ტირანს ხალხის დასამორჩილებლად ჯარი სჭირდებოდა. დღეს ტირანს სჭირდება მაღალი ფასი ნავთობზე და სერვერების ფერმა. თუ მას პირველი აქვს, მეორესაც იყიდის. და თუ აქვს მეორე, ის დაგარწმუნებთ, რომ მონობა თავისუფლებაა, ხოლო ომი — მშვიდობა.

სატელიტის სინდრომი

საქართველოში ნავთობი არა გვაქვს, მაგრამ გვაქვს სხვა რამ, რაც დიქტატურის ბაზარზე არანაკლებ ფასობს: შავი ფული და კრემლის დავალება.

ყველაფერი დაიწყო „სისტემური განახლებით“, რომელიც მოსკოვმა თავის სატელიტებს დაუგზავნა. კოდური სახელი: „რუსული კანონი“. ეს იყო პუტინის მიერ 2012 წელს დანერგილი რეპრესიული მექანიზმის ზუსტი ასლი, ოღონდ ქართული, ეგზოტიკური სანელებლებით შეზავებული — ზუსტად ისე, როგორც საბჭოთა რესპუბლიკების გერბებსა და კონსტიტუციებს რთავდნენ ხოლმე ეროვნული ორნამენტებით, შინაარსი კი ყველგან ერთი იყო: მორჩილება. იგივე დირექტივა მიიღეს ყირგიზეთისა და ოკუპირებული აფხაზეთის მმართველებმაც. ყირგიზეთში კანონი მიიღეს, აფხაზეთში კი ხალხის პროტესტმა დროებით შეაჩერა პროცესი, თუმცა კრემლის ზეწოლა გრძელდება. მიზანი? სამოქალაქო საზოგადოების „უცხოეთის აგენტებად“ გამოცხადება.

2023 წელს საზოგადოებამ ეს შეტევა მოიგერია. ხელისუფლებამ ტაქტიკურად დაიხია უკან და პირობა დადო, რომ ამ საკითხს აღარასოდეს მიუბრუნდებოდა. ეს იყო სიცრუე. 2024 წლის გაზაფხულზე კანონი დაბრუნდა. „ოცნების“ პარლამენტმა, ქუჩაში მდგომი ათასობით ადამიანის პროტესტის მიუხედავად, თითი სასხლეტს გამოჰკრა.

თუმცა, „რუსული კანონი“ მხოლოდ პრელუდია აღმოჩნდა. 2026 წლის თებერვალში რეჟიმმა საკანონმდებლო ტერორი ახალ საფეხურზე აიყვანა. „გრანტების შესახებ“ კანონში შესული ცვლილებებით, ნებისმიერი უცხოური დახმარება, მათ შორის ექსპერტული ცოდნის გაზიარებაც კი, კრიმინალიზებულია და 6-დან 12 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. ამას დაემატა სისხლის სამართლის კოდექსის 316-პრიმა მუხლი: „ექსტრემიზმი კონსტიტუციური წყობილების წინააღმდეგ“, რაც 3 წლამდე პატიმრობას უქადის ყველას, ვინც საჯაროდ დააყენებს ეჭვქვეშ ხელისუფლების ლეგიტიმურობას ან უბრალოდ იტყვის, რომ არჩევნები გაყალბდა. 2026 წლის იანვარში საერთაშორისო თანამეგობრობამ აამოქმედა ეუთოს „მოსკოვის

მექანიზმი“ — საგანგებო საგამოძიებო მისია, რადგან საქართველოში ადამიანის უფლებების მდგომარეობა კრიტიკულ ზღვარს გასცდა. ეს ნიშნავს, რომ ჩვენი ქვეყანა მსოფლიოს თვალში საბოლოოდ გაუთანაბრდა ბელარუსსა და თურქმენეთს.

მაგრამ მოდით, მივუბრუნდეთ 2024 წელს, დღევანდელი გადმოსახედიდან დავაკვირდეთ და შევაფასოთ, რა მოჰყვა „რუსული კანონის“ მიღებას. ეს იყო ემოციური „ამერიკული მთები“: ჯერ ჯენზი თაობის ფრუსტრაცია და უიმედობა, შემდეგ კი მყისიერი მობილიზება. პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის გარშემო არცთუ მყარად შეკრული ოპოზიციური სპექტრი და კოალიციური მმართველობის მოლოდინი. გულუბრყვილოდ გვჯეროდა ტექნოლოგიის — გვეგონა, რომ ელექტრონული საარჩევნო ყუთები გაყალბებას შეუძლებელს გახდიდა. გვჯეროდა, რომ თუ 26 ოქტომბერს ბევრნი მივიდოდით, „ქართული ოცნების“ 12-წლიან მმართველობას ლოგიკურ წერტილს დავუსვამდით.

მაგრამ აღმოჩნდა, რომ სათანადოდ ვერ შევაფასეთ ჩვენს პირისპირ მდგომი ფინანსური მონსტრი.

სცენაზე გამოვიდა ოფშორული კაპიტალი. პუტინის ნებართვით გამდიდრებული ბიზნესმენებისა და მედია-მაგნატების (მაგალითად, ირაკლი რუხაძის) სქემებით დაფინანსებულმა ტელეკომპანია „იმედმა“ და სხვა სახელისუფლებო არხებმა ტვინების რეცხვა გააძლიერეს.

ქალაქის ქუჩები მორალურად გამანადგურებელმა ბანერებმა დაფარა: ცალ მხარეს — დაბომბილი უკრაინა, ნაცრისფერი და სისხლიანი; მეორე მხარეს — მშვიდობიანი, მზიანი საქართველო. გზავნილი მარტივი და ცხოველური იყო: „აბა, ომი გინდათ?“.

პარალელურად, სოციალურ ქსელებში ამუშავდა ტროლების ქარხნები. ნარატივი, რომელიც პარტიის ლიდერების კაბინეტებში იწერებოდა — „ევროპა გვრყვნის“, „კაცების გათხოვებას გვაძალებენ“, „იდენტობას გვართმევენ“ — ათასობით ბოტმა აიტაცა. ტელეწამყვანის დრამატული ტემბრი, სპონსირებული პოსტები და ლაიქების ორგანიზებული ნიაღვარი — ეს იყო კარგად დაზეთილი მანქანა.

ასე გარდაიქმნა ციმბირში ამოღებული ნავთობის ბარელები თბილისის ციფრულ შანტაჟად და ეგზისტენციალურ შიშად.

უხილავი არმია

მათ დაგვაჯერეს, რომ ტექნოლოგია – ელექტრონული არჩევნები – ჩვენი მეგობარი იყო, სინამდვილეში კი ეს ტექნოლოგია მათი დანაშაულის ფარდა აღმოჩნდა.

„მეცამეტე უბნის ოპერა“

სტატისტიკა მშრალია. ჩვენ გვესმის ციფრები გაყალბებაზე, მაგრამ მათ სუნს ვერ ვიყნოსავთ. სრულად რომ შეიგრძნოთ, როგორ მუშაობს სისტემა, უნდა ჩახვიდეთ მარნეულში, №12 საარჩევნო უბანზე, სადაც 2024 წლის 26 ოქტომბერს დემოკრატია კი არ გარდაცვლილა, ის უბრალოდ აბსურდის თეატრად იქცა.

ამ სცენის მოწმე გახდა ნინო ჟვანია, კონსერვატორიის პროფესორი, რომელიც იქ დამკვირვებლის სტატუსით ჩავიდა. რაც მან ნახა, იმდენად არარეალური იყო, იმდენად ჰგავდა დადგმულ სპექტაკლს, რომ მოგვიანებით ეს ყველაფერი ოპერის ლიბრეტოდ აქცია. და მართლაც, რა არის ეს, თუ არა ტრაგიკომიკური ოპერა?

ლიბრეტოსთვის სიმბოლურად „მეცამეტედ“ გადანომრილ №12 უბანზე შესვლისთანავე ნინო და მისი კოლეგა, დამკვირვებელი კაცი, სისტემურ კედელს შეეჯახნენ. საჩივრის დაწერა გინდათ? „ფორმებს ვერ ვპოულობთ! გაქრა!“ — პასუხობდა კომისიის თავმჯდომარე, თითქოს ეს ფორმები ჯადოქრობით გამქრალიყოს. სანაცვლოდ კი, კომისიის წევრი კაცი დამკვირვებლებს დაჟინებით სთავაზობდა... ჩაის.

„ლამაზო, არ გინდა ჩაი? ჩაი ტკბილია! საჩივრის ფორმა მაინც დაკარგულია“.

წარმოიდგინეთ სცენა: ერთ მხარეს დგას კანონი, მეორე მხარეს კი — ცხელი, ტკბილი ჩაი, როგორც კორუფციისა და მოდუნების სიმბოლო. ეს ჩაი თითქოს ამბობს: „მოდუნდი, ნუ იბრძვი, დალიე და დაივიწყე“.

სანამ დამკვირვებლებს ჩაით უმასპინძლდებოდნენ, კულისებში (საარჩევნო კაბინებში) „შავი საქმე“ კეთდებოდა. კაცები შედიოდნენ ქალებთან ერთად კაბინაში. როცა ნინომ ეს გააპროტესტა, პასუხი გამაოგნებელი იყო: „არ იცის, რას აკეთებს... მოხუცი ქალისთვის ხმის მიცემის სწავლება [სწორია]“. სინამდვილეში კი, ეს იყო ხმის კონტროლი — „დიდი ძმა“ კაბინაშიც კი არ გტოვებდათ მარტო.

სცენაზე პერიოდულად შემოდიოდნენ ე.წ. „გონგოები“ (GONGO – Government-Organized Non-Governmental Organization – მთავრობის მიერ ორგანიზებული არასამთავრობო ორგანიზაცია) — ხელისუფლების მიერ მართული ფსევდო-დამკვირვებლები. ისინი, როგორც ბერძნული ტრაგედიის გუნდი, ერთხმად იმეორებდნენ მანტრას:

„ყველაფერი წესრიგშია, ჩვენო ხელმძღვანელო! ყველაფერი კარგად მიდის!“.

მაგრამ სპექტაკლი დრამაში გადაიზარდა, როცა დამკვირვებელმა კაცმა ტელეფონი ამოიღო დარღვევების გადასაღებად. მას თავს დაესხნენ, ტანსაცმელი შემოახიეს. აი, აქ გამოჩნდა სისტემის ნამდვილი სახე — „მეტადონშიკი იკა“, უბნის მაყურებელი, რომელიც თითქოს ციდან (თოკით) დაეშვა, რათა „გლობალური ომის პარტიისგან“ დაეცვა ეს სიყალბე. იკა არის სისტემის კუნთი, რომელიც ჩაის და ღიმილის უკან იმალება.

ყველაზე საოცარი კი ფინალი იყო. როცა უბანზე საერთაშორისო დამკვირვებლები (ეუთო/ოდირი) შემოვიდნენ, გამქრალი საჩივრის ფორმები უცებ ციდან ჩამოცვივდა. ჯადოქრობა? არა, უბრალოდ ფასადური დემოკრატიის ტექნოლოგია.

საბოლოო აკორდი კი ხმების დათვლა იყო. კომისიის წევრები რობოტული მონოტონურობით კითხულობდნენ ბიულეტენებს:

„ქართული ოცნება... ქართული ოცნება... ქართული ოცნება...“.

1019 ხმა „ოცნებას“, 0 ხმა თითქმის ყველა დანარჩენ პარტიას. მარნეულის მე-12 უბანზე არჩევნები კი არ ჩატარდა – გათამაშდა. და როგორც ნინო ჟვანიამ თავის ლიბრეტოში დაწერა: „ნუთუ ტყუილად

ამბობენ, რომ ხალხი ბრძენია? რა სამწუხაროა, რომ დღესაც გვიწევს ამ კითხვების დასმა...“.

ეს არ იყო ოპერა. ეს იყო რეალობა, რომელშიც გავიღვიძეთ.

თავი 2: ტვინის ჰაკერები — შიში, როგორც ოპერაციული სისტემა (პროპაგანდა, Deepfake, შიში)

ნინო და მისი და, თამარი, 2012 წელს იმ ასობით ათას ადამიანს შორის იყვნენ, რომლებმაც ხმა „ქართულ ოცნებას“ მისცეს. და მოდით, პირდაპირ ვთქვათ: **მათი არჩევანი მაშინ აბსოლუტურად სწორი, მორალური და პატრიოტული იყო.**

მათ ხმა მისცეს არა იმას, რასაც დღეს ვხედავთ, არამედ სამართლიანობის აღდგენას, ადამიანის ღირსებას და ევროპულ ოჯახში დაბრუნებას. მათ შეასრულეს თავიანთი მოქალაქეობრივი ვალი — უარი უთხრეს ძალადობას.

პრობლემა ამომრჩეველში არ არის. პრობლემა ისაა, რომ ძალაუფლებამ „ოცნება“ შეცვალა. ის, ვინც 2012-ში მოვიდა ლოზუნგით „მე ვარ ქართველი, მაშასადამე ვარ ევროპელი“, 2024-ში გვეუბნება, რომ ევროპა გარყვნილებაა.

ბევრს უჭირს ამის აღიარება. ფსიქოლოგიაში ამას „ჩაძირული დანახარჯის ხაფანგს“ ეძახიან. ძნელია თქვა, რომ 12 წელი შეცდომა იყო. მაგრამ სიმართლე სხვაა: **თქვენ შეცდომა არ დაგიშვიათ. თქვენ ღირებულებები არ შეგიცვლიათ. შეიცვალა ის, ვისაც ხმა მიეცით.**

სწორედ იმიტომ, რომ 2012-ში თქვენ სამართლიანობას და ევროპას დაუჭირეთ მხარი, დღეს გაქვთ სრული მორალური უფლება — და ვალდებულებაც — დაიცვათ თქვენი მაშინდელი არჩევანი იმ ხალხისგან, ვინც მას უღალატა.

„გლობალური ომის პარტია“ — მითის ანატომია

ყველაზე ეფექტური მტერი ის არის, რომელიც არ არსებობს. მას ვერ დაამარცხებ, ვერ მოელაპარაკები და, რაც მთავარია, პასუხს ვერაფრისთვის მოსთხოვ – უბრალოდ იმიტომ, რომ ის უხილავია.

„ქართულმა ოცნებამ“ სწორედ ასეთი ფრანკენშტაინი შექმნა და მას **„გლობალური ომის პარტია“** დაარქვა.

რა არის ეს? ეს არ არის კონკრეტული ორგანიზაცია, ქვეყანა ან ალიანსი. ეს არის ბუნდოვანი, მისტიკური ძალა, რომელიც თითქოსდა მართავს ევროკავშირსაც, ამერიკასაც და მთელ დასავლურ ცივილიზაციას. რატომ დასჭირდათ ამ ტერმინის გამოგონება? მარტივი მიზეზის გამო: როდესაც შენი სტრატეგიული პარტნიორები (აშშ, ევროკავშირი) გაკრიტიკებენ დემოკრატიის უკუსვლის გამო, შენ ორი გზა გაქვს: ან უნდა აღიარო შეცდომები, ან უნდა თქვა, რომ შენი პარტნიორები მარიონეტები არიან, რომლებსაც ვიღაც „მესამე ძალა“ მართავს.

ივანიშვილის რეჟიმმა მეორე გზა აირჩია. მათ შექმნეს სამყარო, სადაც დასავლეთი მეგობარი კი არა, მსხვერპლია ამ მითიური „პარტიის“ ხელში, რომელსაც ერთადერთი მიზანი აქვს: გახსნას მეორე ფრონტი საქართველოში.

მაგრამ პროპაგანდა ცოცხალი ორგანიზმია, ის გარემოსთან ერთად იცვლება.

როდესაც დონალდ ტრამპის რეიტინგმა ზრდა დაიწყო და მისი გამარჯვება რეალური გახდა, თბილისში მიხვდნენ, რომ ტერმინი „გლობალური ომის პარტია“ ზედმეტად ლოკალური და გაუგებარი იყო საერთაშორისო კონტექსტისთვის. საჭირო იყო „სისტემური განახლება“.

და აი, არჩევნების შემდეგ, როგორც კი ტრამპმა გაიმარჯვა, „ქართული ოცნების“ ლექსიკონიდან „გლობალური ომის პარტია“ გაქრა და ის ჩაანაცვლა ამერიკული ულტრა-მემარჯვენე შეთქმულების თეორიების საყვარელმა ტერმინმა — **„Deep State“ (ღრმა სახელმწიფო)**.

ეს იყო ჭკვიანურად მოფიქრებული და ცინიკური სვლა. ამით ივანიშვილის რეჟიმმა სცადა ეთქვა: *„ნახეთ, ჩვენ მარტო არა ვართ. ჩვენ და ტრამპს საერთო მტერი გვყავს. ტრამპი ვაშინგტონში ებრძვის „დიფ სთეითს“, ჩვენ კი — თბილისში“*. ამ ტერმინოლოგიური აკრობატიკით მათ სცადეს თავი წარმოეჩინათ არა იზოლირებულ ავტოკრატებად, არამედ გლობალური ანტი-ლიბერალური მოძრაობის ავანგარდად.

მაგრამ რას სთავაზობდნენ ისინი ხალხს ამ „მონსტრისგან“ დაცვის სანაცვლოდ?

არჩევნების წინადღეს, 25 ოქტომბერს, გამოცემა „ნეტგაზეთმა“ (რომელიც რეჟიმის ერთ-ერთი მთავარი სამიზნე იყო) გამოაქვეყნა სტატია სათაურით: *„რას გვპირდება „ქართული ოცნება“? (მოკლედ)“*. სტატიაში მოცემული ჩამონათვალი ისტორიული დოკუმენტი და მმართველი პარტიის სივერაგის სამხილია. ის გვიჩვენებს, რით ევაჭრებოდა მმართველი პარტია ამომრჩეველს:

1. **ოპოზიციის გაუქმება:** რეჟიმი ღიად ითხოვდა საკონსტიტუციო უმრავლესობას, რათა აეკრძალა „კოლექტიური ნაციონალური მოძრაობა“ (რაშიც თითქმის ყველა ოპოზიციური პარტია მოიაზრებოდა). არგუმენტი? ისინი „გლობალური ომის პარტიის“ აგენტები არიან.

2. **ბოდიში ომისთვის:** დაპირება, რომ ქართველები ბოდიშს მოუხდიდნენ ოსებს 2008 წლის ომისთვის — რაც პირდაპირ ეხმიანებოდა კრემლის ნარატივს, თითქოს ომი საქართველომ დაიწყო (დასავლეთის დავალებით).

3. **ცენზურა:** „ოჯახური ღირებულებების“ დაცვის მოტივით მიღებული კანონები, რომლებიც რეალურად განსხვავებული აზრისა და ცხოვრების წესის აკრძალვას ისახავდა მიზნად.

ეს იყო გარიგება: „დაგვითმეთ თქვენი თავისუფლება და ჩვენ დაგიცავთ არარსებული მტრისგან“. და როგორც ყველა თაღლითურ სქემაში, აქაც დაცვა იყო ილუზია, ხოლო თავისუფლების დაკარგვა — რეალობა.

ალგორითმი, როგორც ცენზორი — ორი საქართველო ერთ ეკრანზე

2024 წელს საქართველოში მოხდა ჩუმი რევოლუცია, რომლის ხმაურმაც არჩევნების დღემდე ვერ მიაღწია. პირველად ისტორიაში, ციფრულმა პლატფორმებმა ტელევიზია დაამარცხა. საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭოს (IREX) კვლევის მიხედვით, მოსახლეობის 51%-

ისთვის ინფორმაციის მთავარი წყარო სოციალური მედია გახდა, და არა ტელევიზია (44%).

ერთი შეხედვით, ეს დემოკრატიის გამარჯვებას ჰგავს — ინტერნეტი ხომ თავისუფალია? მაგრამ ივანიშვილის რეჟიმმა ეს თავისუფლება თავისივე იარაღად აქცია. მათ გააცნობიერეს მარტივი ჭეშმარიტება: **თუ ტელევიზიაში ცენზურა სჭირდებათ, ინტერნეტში სჭირდებათ „ხმაური“ და ფული.**

დიდი ციფრული კედელი

წარმოიდგინეთ ტიპური ქართული ოჯახი სადილობისას. მაგიდის ერთ მხარეს ზის 65 წლის ბებია, რომელიც „იმედს“ უყურებს. მას ესმის, რომ „ოპოზიციას ომი უნდა“. მაგიდის მეორე მხარეს ზის 25 წლის შვილიშვილი, რომელიც ტელეფონში სქროლავს. ისინი ფიზიკურად ერთ ოთახში არიან, მაგრამ მენტალურად — სხვადასხვა პლანეტაზე ცხოვრობენ.

ამ უფსკრულს სტატისტიკა ადასტურებს: 55 წელს გადაცილებული ადამიანების 77% ინფორმაციას ტელევიზიით იღებს, ხოლო 18-34 წლის ახალგაზრდების 82% — სოციალური ქსელებით. რეჟიმმა ეს იცოდა და ორივე ფრონტზე განსხვავებული სტრატეგია აირჩია: ტელევიზიაში — შიშის ტოტალური პროპაგანდა, ხოლო სოციალურ ქსელებში — დაბნეულობა და ნიჰილიზმი.

Meta-ს ოკუპაცია: როგორ იყიდეს „ფიდი“

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების (ISFED) ანგარიში ავლენს იმ რეალობას, რომ წინასაარჩევნო პერიოდში მმართველმა პარტიამ ასტრონომიული თანხები ჩაასხა Facebook-ისა და Instagram-ის რეკლამებში.

ეს არ იყო უბრალოდ პოლიტიკური რეკლამა. ეს იყო **მიკროტარგეტირებული ფსიქოლოგიური ოპერაცია.** ალგორითმი მუშაობდა მარტივად:

- თუ მომხმარებელი საშუალო ასაკის იყო და აინტერესებდა რელიგია, მას უგდებდნენ პოსტებს იმაზე, თუ როგორ „გვართმევს ევროპა იდენტობას“.
- თუ მომხმარებელი ახალგაზრდა იყო, მას აჩვენებდნენ ვიდეოებს, რომლებშიც ოპოზიციას დასცინოდნენ, ან ისეთ კონტენტს, რომელიც ამბობდა: „ყველა პოლიტიკოსი ერთნაირია, ბრძოლას აზრი არა აქვს“.

სოციალურ მედიაში „ქართული ოცნების“ დომინაცია იმდენად ტოტალური იყო, რომ ოპოზიციური მესიჯები უბრალოდ იკარგებოდა სპონსირებული პოსტების ოკეანეში. ფულით ნაყიდმა ალგორითმმა ცენზორის როლი შეასრულა — არა, მას ოპოზიციის ხმა არ წაუშლია, მან ის უბრალოდ გადაფარა და ჩაახშო „ქართული ოცნების“ მიერ სპონსირებული ხმაურით.

პროპაგანდისტული მანქანის სიყალბე 2026 წლის 24 თებერვალს საერთაშორისო დონეზე დადასტურდა: დიდმა ბრიტანეთმა სანქციები დაუწესა „იმედსა“ და „პოს TV“-ს რუსული დეზინფორმაციის გავრცელებისა და უკრაინის წინააღმდეგ წარმოებული საინფორმაციო ომის გამო. სანქციების შედეგად, ტელეკომპანიებს გაეყინათ ანგარიშები და აეკრძალათ საერთაშორისო სარეკლამო შემოსავლები. რეჟიმის პასუხი კვლავ თაღლითური იყო: სანქციებიდან მეორე დღესვე საჯარო რეესტრში გაჩნდნენ ფიქტიური კომპანიები — „შპს იმედის მხარდამჭერები“ და „შპს პოს TV-ის მხარდამჭერები“. როდესაც ტელევიზია, რომელიც „მშვიდობას“ გიქადაგებთ, გლობალურად შავ სიაში ხვდება, უნდა მივხვდეთ: ჩვენ არა სიმართლეს, არამედ სანქცირებულ იარაღს გვთავაზობენ.

Tik-Tok-ის ფრონტი: გართობა პოლიტიკის ნაცვლად

კიდევ უფრო საინტერესო იყო ბრძოლა TikTok-ზე, რომელსაც მოსახლეობის 32% მოიხმარს. აქ პოლიტიკური გზავნილები შეფუთული იყო როგორც „მიმები“ და გასართობი ვიდეოები. ახალგაზრდებისთვის, რომლებიც პოლიტიკურ ამბებს გაურბიან (და ასეთი ახალგაზრდების რაოდენობა 59%-ია), ეს იდეალური სატყუარა იყო.

შედეგად მივიღეთ პარადოქსი: ინფორმაციულ ეპოქაში, როცა წვდომა გვაქვს ყველაფერზე, მოსახლეობის დიდი ნაწილი იზოლირებულ „ექო-ოთახებში“ აღმოჩნდა. მათ ეგონათ, რომ საკუთარ არჩევანს აკეთებდნენ, სინამდვილეში კი ალგორითმი, რომელიც რუსული ფულითა და ქართული ადმინისტრაციული რესურსით იკვებებოდა, მათ მაგივრად წყვეტდა, რა უნდა დაენახათ და რა — არა.

სწორედ ამიტომ, როცა არჩევნების ღამეს შედეგები გამოცხადდა, ბევრისთვის ეს შოკი იყო. მათი „ფეისბუქბაბლი“ სულ სხვა რეალობას ხატავდა. ეს არ იყო უბრალოდ გაყალბება უბნებზე; ეს იყო რეალობის გაყალბება ადამიანების ეკრანებზე.

„Deepfake“ რეალობა — როცა თვალი და ყური მტერია

ტექნოლოგიური დიქტატურის ბოლო საფეხური ის მომენტია, როცა საკუთარ თვალებსა და ყურებს აღარ ენდობი. თუ სოციალური მედიის ალგორითმები გვიწყვეტენ, რა ვნახოთ, ხელოვნური ინტელექტი (AI) და „Deepfake“ ტექნოლოგიები წყვეტენ, *მართალია თუ არა* ის, რასაც ვხედავთ.

2024 წლის არჩევნების წინ ჩვენ ვნახეთ ამ ტექნოლოგიის გამოყენების ორი კლასიკური მეთოდი: **შეტევა** და **თავდაცვა**.

შეტევა: „ხვიჩა ხო...“

2024 წლის 8 მაისს, ევროპის ჩემპიონატის ეიფორიის ფონზე, სამთავრობო პროპაგანდისტულმა მანქანამ (სააგენტო FOR.GE-მ და საზოგადოებრივმა მაუწყებელმა) გაავრცელეს აუდიოჩანაწერი. მასში, სავარაუდოდ, ოპოზიციონერი ლიდერების — ნიკა გვარამიას, აკაკი მინაშვილისა და ნიკა ფარულავას — საუბარი ისმოდა.

მაგრამ ეს არ იყო პოლიტიკური საუბარი. ეს იყო კარგად გათვლილი ემოციური დივერსია. ჩანაწერში ისმოდა, თითქოს ოპოზიციონერები უცენზურო სიტყვებით მოიხსენიებდნენ ორ „ხელშეუხებელ“ ფიგურას: ევროკავშირის ელჩს, პაველ ჰერჩინსკის (რაც პოლიტიკურ კონტექსტს ურტყამდა) და, რაც მთავარია, ეროვნულ გმირს — ხვიჩა კვარაცხელიას.

„ეს ხვიჩა ხო ყ..ა, მაგარი ყ..ა... კვარა რატომ არის ყ...ე, იცი? ...მაგას ვერავინ გეტყვის. რევოლუცია... დედის ტყ..ნა იქნება...“

ავთენტური იყო ეს ჩანაწერი თუ AI-ით გენერირებული? ექსპერტიზა არ ჩატარებულა და, სიმართლე რომ ვთქვათ, ამას მნიშვნელობა არც ჰქონდა. მიზანი მიღწეული იყო: საზოგადოების გონებაში დათესეს ვირუსი, რომ პროდასავლური ოპოზიცია ებრძვის არა მხოლოდ „ქართულ ოცნებას“, არამედ ქართულ ფეხბურთს, ეროვნულ სიამაყეს. ეს არის „Deepfake“ ეპოქის მთავარი გაკვეთილი: **არ არის აუცილებელი, ტყუილი დაამტკიცო; მთავარია, ემოცია გამოიწვიო.**

საქართველოს ნაკრების ფეხბურთელებმაც კი იგრძნეს ეს გაუცხოება. როცა სპორტი პოლიტიკური პროპაგანდის იარაღად იქცევა (რასაც „სპორტსვოშინგს“, ანუ „სპორტით ტვინების რეცხვას“ უწოდებენ), გულშემატკივრის გულწრფელი სიყვარული ნელდება. ესპანეთის ნაკრებთან 2025 წლის ნოემბრის მტკივნეული მარცხის შემდეგ სოციალურ ქსელებში გაჩენილი რეაქციები ამის დასტური იყო: ხალხი ითხოვდა არა მხოლოდ კარგი ფეხბურთის თამაშს, არამედ მოქალაქეობრივ თანადგომას იმ მომენტებში, როცა ქვეყანას უჭირდა. ეს არ არის სპორტსმენების სიძულვილი; ეს არის იმედგაცრუება, როცა ხედავ, რომ შენს კერპებსაც სისტემა იყენებს.

„ავე მარია“ დიქტატურის ფონზე — კულტურული ალიბი

მაგრამ რეჟიმი მარტო ფეხბურთით არ კმაყოფილდება. იქ, სადაც სპორტული აზარტი არ ჭრის — მაგალითად, ევროპულ მაღალ საზოგადოებაში — საქმეში კულტურა ერთვება. ამას კი **„კულტურვოშინგი“** ჰქვია.

2025 წლის ნოემბრის ბოლოს, როცა თბილისის ქუჩებში, დრაკონულ და უსამართლო კანონებზე დაყრდნობით, ყოველდღიურად რამდენიმე აქტივისტს აპატიმრებდნენ, პრემიერ-მინისტრი კობახიძე რომში, სანტა მარია მაჯორეს ბაზილიკაში იჯდა. ვატიკანის წმინდა კედლებში ის უსმენდა არა ქუჩაში გამოსული ხალხის საპროტესტო სიმღერებს, არამედ ქართულ საგალობლებსა და პატრიარქის „ავე მარიას“.

ეს მშვენიერი სცენა იყო — და სწორედ ამაშია მისი სიყალბე.

ხელისუფლებისთვის ეს კონცერტი არ ყოფილა ხელოვნების ზეიმი. ეს იყო პოლიტიკური ალიბი. როდესაც რომში, ევროპული ცივილიზაციის გულში, ქართულ მრავალხმიანობას წარმოადგენ, ცდილობ, დასავლეთს უთხრა: „ნახეთ, ჩვენ თქვენი ნაწილი ვართ — ქრისტიანი ევროპელები“.

სინამდვილეში კი, ეს არის კლასიკური საბჭოთა ტაქტიკა: გაგზავნო საცეკვაო ანსამბლები და გუნდები დასავლეთში, რათა მათი ტაშით გადაფარო პოლიტპატიმრების ოხვრა სამშობლოში. მათთვის კულტურაც და ეკლესიაც მხოლოდ ფასადია — ლამაზი ფარდა, რომლის უკანაც ავტორიტარიზმი იმალება.

თავდაცვა: სიმართლის სიკვდილი

კიდევ უფრო საინტერესო იყო ხელისუფლების თავდაცვითი სტრატეგია. არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა (სუს) გაავრცელა საგანგებო განცხადება. მათ გააფრთხილეს საზოგადოება, რომ პოლიტიკური ჯგუფები გეგმავდნენ ფალსიფიცირებული აუდიო- და ვიდეოჩანაწერების გავრცელებას ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით.

ერთი შეხედვით, ეს ზრუნვას ჰგავდა. სინამდვილეში კი, ეს იყო **„ალიბი მომავლისთვის“.**

ამ განცხადებით ხელისუფლებამ წინასწარ გააუქმა ნებისმიერი კომპრომატი, რომელიც შესაძლოა მათ წინააღმდეგ გამოქვეყნებულიყო. თუ ხვალ გავრცელდებოდა ვიდეო, სადაც მაღალჩინოსანი ქრთამს იღებს ან არჩევნებს აყალბებს, პასუხი მზად იყო: *„ხომ გაგაფრთხილეთ? ეს AI-ია, ეს Deepfake-ია“*.

ეს არის რეალობის დასასრული. სამყაროში, სადაც ყველაფერი შეიძლება იყოს ყალბი, სიმართლე ფასს კარგავს. და როცა სიმართლე აღარ არსებობს, რჩება მხოლოდ ძალა.

თავი 3: აშხაბადის დუმილი და მიუნხენის განგაში — სად არის ჩვენი ადგილი?

ვლადიმირ პუტინს ერთი რამის ეშინია. ეს არ არის ნატო და არც დასავლური რაკეტები. მისი მთავარი შიში არის **დრო**. ბევრი ანალიტიკოსი დღემდე უშვებს ფატალურ შეცდომას, როცა უკრაინაში დაწყებულ ომს რუსეთის სიძლიერის გამოვლინებად მიიჩნევს. სინამდვილეში, ეს იყო სასოწარკვეთილი მცდელობა, გაეჩერებინათ ისტორიის საათი. პუტინი ჰგავს მოჭადრაკეს, რომელიც ხედავს, რომ პარტიას აგებს — ოღონდ არა ფიგურების, არამედ დროის ამოწურვის გამო — და ამიტომ, ერთადერთი „სვლა“ რჩება: აიღოს დაფა და მოწინააღმდეგეს თავში ჩაარტყას.

დეკემბრის ორი დღე: არჩევანი სიცოცხლესა და მირაჟს შორის

2025 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში მოხდა ორი მოვლენა, რომელმაც საბოლოოდ გააშიშვლა საქართველოს ხელისუფლების არჩევანი. ეს იყო ორი დღე, რომელმაც დაგვანახა უფსკრული ჩვენს ილუზიებსა და მსოფლიო რეალობას შორის.

12 დეკემბერი, აშხაბადი. საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე თურქმენეთის დედაქალაქში ჩავიდა. თეთრი მარმარილოს „მკვდარ ქალაქში“, სადაც ოქროს ქანდაკებები უფრო მეტია, ვიდრე გამვლელები ქუჩაში, ის ესწრებოდა „მშვიდობისა და ნდობის ფორუმს“. რატომ აშხაბადი? იმიტომ, რომ ეს არის „ოცნების“ იდეალი: ქალაქი, რომელიც ბრჭყვიალებს, მაგრამ სადაც სიცოცხლე არ ჩქეფს; ქვეყანა, სადაც „მშვიდობა“ გარანტირებულია, რადგან განსხვავებული აზრი ციხეშია, ხოლო ოპოზიცია უბრალოდ არ არსებობს. ცენტრალური აზიის ავტოკრატების გარემოცვაში ყოფნა იყო სიმბოლო: ჩვენი ხელისუფლება მეგობრებს ეძებს არა იქ, სადაც მომავლის ტექნოლოგიებს ქმნიან, არამედ იქ, სადაც გაზის ფულით დიქტატურის ფასადს აშენებენ.

13 დეკემბერი, მიუნხენი. ზუსტად მომდევნო დღეს, როცა „ქართული ოცნება“ აშხაბადურ „წარმატებას“ ზეიმობდა, გერმანიიდან განგაშის

ზარი გაისმა. ქრისტიან-სოციალური კავშირის (CSU) კონგრესზე გამოსვლისას, გერმანიის კანცლერმა ფრიდრიხ მერცმა მსოფლიოს ის უთხრა, რისი გაგონებაც „ქართულ ოცნებას“ ყველაზე ნაკლებად სურდა.

„Pax Americana დასრულდა,“ — განაცხადა მერცმა. მან გააფრთხილა ევროპა, რომ ამერიკული უსაფრთხოების ქოლგა აღარ არის გარანტირებული და კონტინენტმა თავი თავად უნდა დაიცვას. მაგრამ ჩვენთვის ყველაზე საგანგაშო მისი მეორე გზავნილი იყო:

„პუტინი უკრაინაში არ გაჩერდება. მისი მიზანია ევროპის საზღვრების თავიდან გავლება და კონტროლის აღდგენა ყოფილ საბჭოთა ტერიტორიებზე.“

დააკვირდით ირონიას: სანამ კობახიძე აშხაბადში გვარწმუნებდა, რომ რუსეთთან „დალაგებით“ მშვიდობა მოვიპოვეთ, ევროპის ლიდერი მიუნხენში გვაფრთხილებდა, რომ ეს „დალაგება“ სიკვდილის ტოლფასია. მერცი პირდაპირ ამბობს: დათმობა („appeasement“) მხოლოდ აძლიერებს კრემლის მადას.

ეს ნიშნავს, რომ „შუაში გაჩერების“ დრო წავიდა. მსოფლიო იყოფა ორ ბანაკად:

1. **აშხაბადის ბანაკი:** სადაც გვთავაზობენ იზოლაციას, ცენზურასა და რუსულ-ჩინურ გავლენას.
2. **მიუნხენის ბანაკი:** სადაც ემზადებიან დიდი თავდაცვისა და გადარჩენისთვის.

საქართველო დღეს ზურგს აქცევს მიუნხენს — სადაც ჩვენს უსაფრთხოებაზე მსჯელობენ — და მიდის აშხაბადში, სადაც ჩვენს კაპიტულაციას ზეიმობენ.

ჩინური ხაფანგი — პარტნიორის ჩანაცვლება ბატონით

„აშხაბადის ვექტორი“ შემთხვევითი არ არის. ის პირდაპირ კავშირშია ჩინურ ექსპანსიასთან. „ქართული ოცნება“ ამტკიცებს, რომ აწარმოებს „მულტივექტორულ პოლიტიკას“, მაგრამ სინამდვილეში ისინი დემოკრატიულ პარტნიორს (დასავლეთს), რომელიც გვთხოვს

განვითარებას, ანაცვლებენ ტოტალიტარული ზედამხედველით (ჩინეთით), რომელიც გვთხოვს მორჩილებას.

პეკინი პრაგმატულია. მათ დაინახეს, რომ საქართველო დასავლეთს შორდება და წარმოიქმნა ვაკუუმი. ჩინეთი ამ ვაკუუმს ავსებს არა მეგობრობით, არამედ კაბალური ვალებითა და სტრატეგიული აქტივების მითვისებით. ანაკლიის პორტის ჩინეთისთვის გადაცემა ამის ნათელი მაგალითია.

აშშ-ის პასუხი მყისიერი იყო: ვაშინგტონმა და ერევანმა ოფიციალურად აამოქმედეს TRIPP (Trump Road for International Peace and Prosperity) — სტრატეგიული დერეფანი, რომელიც სომხეთის ტერიტორიაზე გაივლის და აზერბაიჯანს თურქეთთან დააკავშირებს. აშშ-მა ამ დერეფნის განვითარებაზე 99-წლიანი ექსკლუზიური უფლება მიიღო. მაშასადამე, ახალი სავაჭრო გზა არა საქართველოზე, არამედ სომხეთსა და თურქეთზე გაივლის. ამერიკამ მარტივი არჩევანი გააკეთა: რადგან თბილისმა მასთან თანამშრომლობას არჩია პეკინი და აშხაბადი, ვაშინგტონმა აირჩია შემოვლითი გზა.

სანამ ჩვენი ხელისუფლება ჩინურ ინვესტიციებს ელოდება, რეგიონის გეოპოლიტიკური რუკა თავდაყირა დადგა. 2026 წლის თებერვლის ბოლოს აშშ-მა და ისრაელმა ირანის წინააღმდეგ მასშტაბური სამხედრო ოპერაციები დაიწყეს, რამაც რეგიონული უსაფრთხოების ილუზია საბოლოოდ დაამსხვრია. ირანის მუქარა, რომ ომის ესკალაციის შემთხვევაში ნავთობსადენები განადგურდება, უშუალოდ უქმნის საფრთხეს „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანს“. ეს ობიექტური მოცემულობა კიდევ ერთხელ ამტკიცებს, თუ რამხელა სიგიჟეა ასეთ ფეთქებად რეგიონში დასავლური უსაფრთხოების ქოლგაზე უარის თქმა. სწორედ აქ ვლინდება „ოცნების“ ანტიდასავლური პოლიტიკის კატასტროფული ფასი: როდესაც გლობალურმა მოთამაშეებმა ალტერნატიული, უსაფრთხო სავაჭრო გზების ძიება დაიწყეს, საქართველოს ხელისუფლებასთან თანამშრომლობას აზრი დაეკარგა. შედეგად, თავისუფალი სამყარო გვერდს გვივლის სომხეთის ახალი დერეფნის გავლით, ჩვენ კი — უსაფრთხოების გარანტიების გარეშე — **რუსულ-ჩინურ ჩიხში** ვრჩებით.

„თბილისური ანომალია“ — შიში, როგორც ვალუტა

რატომ აკეთებს ამას ხელისუფლება? რატომ ირჩევენ იზოლაციას? პასუხი „თბილისურ ანომალიაშია“. ბიძინა ივანიშვილმა აღმოაჩინა, რომ ძალაუფლების შესანარჩუნებლად საუკეთესო ვალუტა არის შიში. უკრაინაში რუსეთი ომობს არმიით, საქართველოში კი — შიშით. ხელისუფლება ცდილობს მოგვყიდოს ილუზია, რომ თუ ვიქნებით ჩუმად (როგორც აშხაბადში) და არ გავაღიზიანებთ პუტინს (როგორც გვაფრთხილებს მერცი), გადავრჩებით. მაგრამ მერცის გაფრთხილება მიუნხენიდან ადასტურებს, რომ ეს ტყუილია. მტაცებელს არ აჩერებს მსხვერპლის დუმილი. მტაცებელს აჩერებს მხოლოდ ძალა და ერთობა. „ოცნების“ პოლიტიკა კი გვტოვებს მარტო, ძალისა და მეგობრების გარეშე, სწორედ იმ მომენტში, როცა რუსეთი საბჭოთა საზღვრების აღდგენას იწყებს.

„დიპლომატიური ღობე“ — როგორ უკეტავენ შვილებს მომავალს

ბოლო დროს ხელისუფლებამ დააანონსა განათლების რეფორმა, რომელიც ერთი შეხედვით უწყინარია, მაგრამ სინამდვილეში თქვენი შვილების მომავალს კლავს. ისინი გეგმავენ ე.წ. „3+1“ სისტემაზე გადასვლას (3-წლიანი ბაკალავრიატი).

იცით, რას ნიშნავს ეს პრაქტიკაში? ეს ნიშნავს, რომ თქვენი შვილის დიპლომი ევროპასა და ამერიკაში არ იქნება აღიარებული. დასავლური უნივერსიტეტები 4-წლიან აკადემიურ ბაზას ითხოვენ. 3-წლიანი დიპლომით ქართველი ახალგაზრდა ვეღარ წავა სასწავლებლად გერმანიაში, საფრანგეთში ან აშშ-ში. მას გზა ჩაეკეტება.

სამაგიეროდ, ეს სისტემა იდეალურად ერგება **რუსულ სტანდარტს**. ხელისუფლება ამას შეგნებულად აკეთებს. მათ არ სურთ, რომ თქვენმა შვილებმა ევროპული განათლება მიიღონ, რადგან განათლებული ადამიანი მონობას არ ეგუება.

განათლების წინააღმდეგ ომი 2026 წლის დასაწყისში ღია რეპრესიებში გადაიზარდა. „ოცნებამ“ 92%-ით შეუკვეცა საბაკალავრო კვოტები

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს— 4200 ადგილიდან მხოლოდ 300 დატოვა, რაც, პრაქტიკულად, უნივერსიტეტის გაუქმებას ნიშნავს. გაუქმდა სოციალური მეცნიერებების, ფსიქოლოგიისა და პოლიტოლოგიის პროგრამები. პარალელურად, სკოლებში ინერგება „ერთი სახელმძღვანელოს“ პრინციპი, რომლითაც, წიგნებს თავად სამინისტრო დაწერს, რათა ბავშვებს კრიტიკული აზროვნების უნარი წაართვან. ისინი ავლებენ ღობეს, რათა ახალგაზრდებს ერთადერთი გზა დაუტოვონ: ან დარჩნენ აქ და იმუშაონ სისტემის მორჩილ „ჭანჭიკებად“ — მოემსახურონ რეჟიმის კორუფციულ ინტერესებსა და იმ „შუა დერეფანს“, რომელიც ივანიშვილის ერთადერთი იმედია; ან წავიდნენ რუსეთში. ეს რეფორმა არ არის განათლებისთვის. მისი მიზანია მორჩილი კასტის გამოზრდა, რომელსაც არ ექნება პრეტენზია ევროპულ ღირებულებებსა და კრიტიკულ აზროვნებაზე.

„ოცნების“ მიერ „დიპოლომატიური ღობის“ გავლების შედეგი უკვე ხელშესახებია: 2026 წლის მარტში ევროკავშირმა საბოლოოდ შეუჩერა უვიზო მიმოსვლა ქართული დიპლომატიური პასპორტების მფლობელებს. ეს არის ბოლო გაფრთხილება — შემდეგი ჩვენი პასპორტებია.

ეუთოს 217-გვერდიანი განაჩენი — როცა დიქტატურას ოფიციალური სახელი დაერქვა

ჩვენი ქვეყნის გარშემო აღმართული „დიპლომატიური ღობე“, რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ, მხოლოდ აბსტრაქტული მეტაფორა ან ოპოზიციური ნარატივი აღარ არის. 2026 წლის 12 მარტს ამ ღობეს ოფიციალური, საერთაშორისო იურიდიული ბეჭედი დაესვა. ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო/OSCE) ეგიდით, ე.წ. „მოსკოვის მექანიზმის“ ფარგლებში, გამოქვეყნდა 217-გვერდიანი საგანგებო ანგარიში, რომელიც საქართველოს ხელისუფლებისთვის და თავად ქვეყნის დემოკრატიული იმიჯისთვის დამანგრეველ დიაგნოზს წარმოადგენს.

იმისათვის, რომ სრულად გავიაზროთ ამ მოვლენის ისტორიული მასშტაბი და ტრაგიზმი, აუცილებელია გვესმოდეს, თუ რა არის რეალურად „მოსკოვის მექანიზმი“. ეს არ არის ეუთოს რიგითი,

რუტინული ბიუროკრატიული პროცედურა ან სტანდარტული მონიტორინგის ანგარიში. ეს არის ორგანიზაციის ყველაზე მძლავრი, ექსტრემალური ინსტრუმენტი, რომელიც აქტიურდება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც წევრ სახელმწიფოში ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის კუთხით ფიქსირდება კატასტროფული, შეუქცევადი რღვევა და სისტემური საფრთხე. 1991 წლიდან მოყოლებული, თავისუფალმა სამყარომ ეს მექანიზმი მხოლოდ 17-ჯერ გამოიყენა. საქართველომდე ამ მექანიზმის სამიზნეები, ძირითადად, იყვნენ ისეთი სახელმწიფოები, როგორიცაა პუტინის რუსეთი (ჩეჩნეთის მოვლენების გამო), ლუკაშენკოს ბელარუსი და თურქმენეთი — ანუ ის ტერიტორიები, სადაც თავისუფლება ოფიციალურად კრიმინალად არის გამოცხადებული და სადაც სახელმწიფო საკუთარ მოქალაქეებს ღიად უცხადებს ომს. დღეს, 2012 წლის არჩევნებიდან 14 წლის შემდეგ, საქართველო ამ სამარცხვინო სიაში აღმოჩნდა.

ყველაფერი დაიწყო 2026 წლის 29 იანვარს, როდესაც ეუთოს 24-მა წევრმა სახელმწიფომ, მათ შორის დიდმა ბრიტანეთმა, გერმანიამ, საფრანგეთმა და ევროკავშირის სხვა წამყვანმა დემოკრატიებმა, მიიღო უპრეცედენტო ერთობლივი გადაწყვეტილება, რომ საქართველოში მიმდინარე ავტორიტარული პროცესები საგანგებო, დამოუკიდებელ გამოძიებას მოითხოვდა. საგანგებოდ დანიშნულმა დამოუკიდებელმა მომხსენებელმა, პროფესორმა პატრიცია გჟებიკმა (Patrycja Grzebyk), თბილისში 14-დღიანი ინტენსიური ვიზიტისა და ასობით დოკუმენტის, ინტერვიუსა და ვიდეომტკიცებულების ანალიზის შემდეგ დადო დასკვნა, რომელშიც გვერდზეა გადადებული ყოველგვარი დიპლომატიური ენა და მოვლენებს საკუთარი სახელი ჰქვია. ანგარიშის მთავარი მიგნება ერთმნიშვნელოვანი და შემაძრწუნებელია: 2024 წლის გაზაფხულიდან მოყოლებული, საქართველოში მოხდა „მკვეთრი დემოკრატიული უკუსვლა“, რაც სახელმწიფოს მიერ ძალადობის სისტემურ დანერგვაში გამოიხატება.

რას ნიშნავს ეს 217-გვერდიანი განაჩენი თითოეული ჩვენგანისთვის, ვინც ყოველდღიურად ვაწყდებით სისტემის სისასტიკეს? ანგარიში საერთაშორისო დოკუმენტის სიმკაცრით ადასტურებს იმას, რასაც თბილისის ქუჩებში საკუთარი თვალით ვხედავთ:

უპირველესად, ეს არის ძალადობის, როგორც მართვის მთავარი ინსტრუმენტის, აღიარება. ეუთოს ანგარიში პირდაპირ უთითებს, რომ ჟურნალისტების, სამოქალაქო აქტივისტებისა და პოლიტიკური ოპოზიციის წარმომადგენლების წინააღმდეგ მიმართული ფიზიკური ანგარიშსწორება არ წარმოადგენს ცალკეულ, ლოკალურ ინციდენტებს. ეს არის ორგანიზებული, სისტემური ტერორის ნაწილი. მეტიც, დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ მშვიდობიანი მომიტინგეების წინააღმდეგ პოლიციისა და სპეცრაზმის მიერ გამოვლენილმა სისასტიკემ რიგ შემთხვევებში „წამების ზღვარს მიაღწია“. ამ ტერორს ფონად გასდევს დამნაშავეთა „თითქმის ტოტალური დაუსჯელობა“. სისტემა საკუთარ ზონდერებსა და ე.წ. „ტიტუშკებს“, რომლებიც დღისით, მზისით, საჯარო სივრცეებში უსწორდებიან ხელისუფლების კრიტიკოსებს, არ ასამართლებს. ეს არის მესიჯი მოსახლეობისთვის: ვისაც განსხვავებული აზრი აქვს, ის კანონგარეშეა და მასზე ნადირობა დასაშვებია.

მეორე კრიტიკული მიგნება ეხება საკანონმდებლო ტერორს. ანგარიშში სიღრმისეულადაა გაანალიზებული „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის“ შესახებ კანონი, ე.წ. ოჯახური ღირებულებების დაცვის კანონმდებლობა და შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების შემზღუდავი სხვა ნორმატიული აქტები. საერთაშორისო ექსპერტიზა უდავოდ ადასტურებს, რომ ამ კანონების რეალური მიზანი არა ქვეყნის სუვერენიტეტის დაცვა ან ტრადიციების შენარჩუნებაა, არამედ სამოქალაქო საზოგადოების, დამოუკიდებელი მედიისა და კრიტიკული აზრის სრული მარგინალიზაცია და განადგურება. ანგარიში ღიად აცხადებს, რომ მმართველი ძალის მიმდინარე მცდელობა, აკრძალოს მთავარი ოპოზიციური პარტიები, წარმოადგენს პირდაპირ საფრთხეს პოლიტიკური პლურალიზმის არსებობისთვის და ქმნის ერთპარტიული დიქტატურის სამართლებრივ ჩარჩოს.

მესამე საგანგაშო მიმართულება მართლმსაჯულების სისტემის კოლაფსია. დასკვნა სერიოზული ეჭვის ქვეშ აყენებს საერთო სასამართლოების დამოუკიდებლობას და ხაზს უსვამს მტკიცებულებების გარეშე, მხოლოდ პოლიციელთა დაუდასტურებელ ჩვენებებზე დაყრდნობით გამოტანილი სისხლისსამართლებრივი და

ადმინისტრაციული გამამტყუნებელი განაჩენების აბსურდულობას. ეუთოს ანგარიში, პირველად ბოლო ათწლეულის განმავლობაში, ღიად აღიარებს საქართველოში პოლიტპატიმრების არსებობას და კატეგორიულად მოითხოვს პოლიტიკური ნიშნით დაკავებული პირების დაუყოვნებლივ გათავისუფლებასა და შეთითხნილი ბრალდებების მოხსნას.

როგორი იყო ივანიშვილის რეჟიმის პასუხი ამ უმძიმეს, ისტორიულ დოკუმენტზე? პასუხი იყო ზუსტად ისეთივე, როგორიც საბჭოთა ნომენკლატურისა 1970-იან წლებში. საქართველოს ხელისუფლებამ, ეუთოში თავისი მუდმივი წარმომადგენლის, ალექსანდრე მაისურაძისა და პარლამენტის თავმჯდომარის, შალვა პაპუაშვილის პირით, ანგარიშს „პოლიტიზებული“, „მიკერძოებული“, „სელექციური“ და „ფაქტობრივი უზუსტობებით სავსე“ უწოდა. პაპუაშვილმა პროცესს აგდებულად დაარქვა „ბლიც-მექანიზმი“ და საერთაშორისო მომხსენებელს, რომელიც პოლონეთის საგარეო უწყებასთან იყო დაკავშირებული, კომპეტენცია და მიუკერძოებლობა დაუწუნა. ხელისუფლების მთავარი არგუმენტი იმაში მდგომარეობდა, რომ ბოლო ათწლეულში ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში (ECHR) საქართველოდან შესული სარჩელების რაოდენობა 85%-ით შემცირდა, რასაც ისინი დემოკრატიის ზეიმად ასაღებდნენ. თუმცა, როდესაც 24 წამყვანი დემოკრატიული სახელმწიფო — ის ქვეყნები, რომლებიც ათწლეულების განმავლობაში ინახავდნენ საქართველოს ეკონომიკასა და სუვერენიტეტს — პირდაპირ გეუბნება, რომ უფსკრულისკენ მიექანები, ამის ტოტალურ „მიკერძოებულობად“ და „ტყუილად“ გამოცხადება მხოლოდ საკუთარი მოსახლეობის მოტყუების იაფფასიანი მცდელობაა.

ეუთოს (OSCE) „მოსკოვის მექანიზმის“ 2026 წლის ანგარიშის სტრუქტურული მიგნებები და პოზიციები

მთავარი მიგნებები და ფაქტები (ეუთო/ოდირი)

• დადასტურდა დემოკრატიული უკუსვლა და პოლიტიკური პლურალიზმის განადგურების რისკი;

• პოლიციური ძალადობა მომიტინგეებზე რიგ შემთხვევებში უტოლდება წამებას, რასაც თან სდევს ტოტალური დაუსჯელობა;

• ე.წ. უცხოური გავლენისა და ოჯახური ღირებულებების კანონები მიმართულია სამოქალაქო სივრცის რეპრესიისკენ;

• სასამართლო ეყრდნობა მხოლოდ პოლიციის ჩვენებებს ოპონენტების პოლიტპატიმრებად ქცევისთვის.

საერთაშორისო რეკომენდაციები და ქმედებები

• **სანქციები:** მოწოდება წევრი სახელმწიფოების მიმართ, დაუწესონ მიზნობრივი სანქციები ადამიანის უფლებების დამრღვევებს;

• **კანონმდებლობა:** დაუყოვნებლივ გაუქმდეს ან ფუნდამენტურად გადაიხედოს რეპრესიული კანონები;

• **მართლმსაჯულება:** გათავისუფლდნენ პოლიტპატიმრები და რეფორმირდეს იუსტიციის უმაღლესი საბჭო;

• **გამოძიება:** საერთაშორისო მექანიზმების (ICC, ECHR) გამოყენება წამების ფაქტების გამოსაძიებლად.

საქართველოს ხელისუფლების საპასუხო პოზიცია

• ანგარიშის შეფასება როგორც „პოლიტიზებულის“, „მიკერძოებულისა“ და ტყუილზე აგებულის;

• ექსპერტ პატრიცია გუებიკის კომპეტენციის ეჭვქვეშ დაყენება და პროცესის „ბლიც-მექანიზმად“ მოხსენიება;

• მტკიცება, რომ ევროსასამართლოში საჩივრების 85%-იანი კლება მართლმსაჯულების წარმატების უტყუარი მტკიცებულებაა.

ეუთოს ეს ანგარიში არ მთავრდება მხოლოდ დიაგნოზის დასმით. ის შეიცავს კონკრეტულ, უმკაცრეს რეკომენდაციებს საერთაშორისო თანამეგობრობის მიმართ, რომელიც ახალ სამოქმედო ფაზაში გადადის. დოკუმენტი პირდაპირ მოუწოდებს ეუთოს წევრ სახელმწიფოებს, სისტემატური მონიტორინგი გაუწიონ საქართველოს და, რაც ყველაზე მთავარია, **განიხილონ მიზნობრივი სანქციების დაწესება იმ პირების მიმართ, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევებზე**. ეს ნიშნავს, რომ დასავლეთმა უკვე დაიწყო კონკრეტული მექანიზმების ამუშავება რეჟიმის სრული იზოლაციისა და ინდივიდუალური ფინანსური თუ სავიზო პასუხისმგებლობის დასაკისრებლად. გარდა ამისა,

დოკუმენტში საუბარია საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოსა (ICC) და სხვა გლობალური ინსტიტუტების ჩართულობის აუცილებლობაზე იმ დანაშაულების გამოსაძიებლად, რომლებსაც ადგილობრივი პროკურატურა ხელს აფარებს.

2026 წლის მარტის ეს უმძიმესი დოკუმენტი არის უკანასკნელი ზარი ჩვენი საზოგადოებისთვის. მიუნხენის კონფერენციაზე გაჟღერებული განგაში ახლა ოფიციალურ, იურიდიულად დასაბუთებულ საერთაშორისო მტკიცებულებად იქცა. თავისუფალ სამყაროში ადგილი აღარ დარჩა ილუზიებისა და ორაზროვნებისთვის: საქართველო აღარ განიხილება, როგორც „გარდამავალი დემოკრატია“ გარკვეული დაბრკოლებებით. საერთაშორისო თანამეგობრობის თვალში, ივანიშვილის ხელისუფლებამ საქართველო ჩამოაყალიბა კონსოლიდირებულ, მოძალადე ავტოკრატიად, რომელიც საკუთარ ხალხს ებრძვის. შესაბამისად, ჩვენი არჩევანიც კრისტალურად გამარტივდა: ან ვეგუებით ამ მონურ სტატუსს და ვრჩებით ისტორიის მიღმა, იზოლირებულ, სიღარიბისა და შიშისთვის განწირულ ქვეყნად, ან ვიაზრებთ საკუთარ ძალას, ვიბრუნებთ 2012 წელს მოპოვებულ გამარჯვებას და კვლავ შეგვყავს ქვეყანა ევროპულ, ცივილიზებულ ორბიტაზე.

ბოლო ბასტიონი: რატომ არის ეკლესია საფრთხეში?

ბევრ მორწმუნე ადამიანს ჰგონია, რომ „ქართული ოცნება“ ეკლესიის მცველია. ეს ილუზიაა, რომელიც ძალიან მალე დაიმსხვრევა. ტოტალიტარული რეჟიმის ლოგიკა დაუნდობელია: ის ვერ იტანს ვერანაირ ავტორიტეტს, გარდა საკუთარი თავისა.

შეხედეთ სქემას: დღეს ისინი ანადგურებენ უნივერსიტეტების ავტონომიას „სახელმწიფო შეკვეთის“ სახელით. ხვალ ზუსტად იმავე მოდელით მიადგებიან ეკლესიას.

საფრთხე „ერთი ერთზე“: სანამ არსებობს კრიტიკული მედია, არასამთავრობო სექტორი და თავისუფალი უნივერსიტეტი, ხელისუფლების დარტყმები გაფანტულია. როგორც კი ეს ინსტიტუტები დაეცემა, საპატრიარქო დარჩება მარტო, პირისპირ ოლიგარქთან,

რომელიც მას უკვე პარტნიორობას კი აღარ სთხოვს, არამედ — სრულ მორჩილებას.

უკვე ვხედავთ ნიშნებს: ეკლესიის შიგნით მიმდინარეობს წმენდა. პროდასავლურ, ეროვნულ სასულიერო პირებს დევნიან, ხოლო დაწინაურებულნი არიან ისინი, ვინც კრემლის ნარატივს იმეორებენ.

ნუ მოატყუებინებთ თავს „ერთმორწმუნეობის“ მითით. რუსეთი არის ის ძალა, რომელმაც 1811 წელს ქართული ეკლესიის ავტოკეფალია გააუქმა, პატრიარქი გააძევა და ქართული წირვა-ლოცვა აკრძალა. დღესაც, ოკუპირებულ აფხაზეთში რუსეთი ებრძვის ქართულ კვალს ტაძრებში.

რუსეთი, რომელსაც დღევანდელი ხელისუფლება ემეგობრება და რომლის სტრატეგიული პარტნიორი – ჩინეთი – ქრისტიანობის ნომერ პირველი მდევნელია მსოფლიოში, არასდროს იქნება ქართული ეკლესიის მეგობარი. მათთვის ეკლესია მხოლოდ გავლენის ინსტრუმენტია. ეკლესიის ავტონომიის გადარჩენა დღეს პირდაპირ არის გადაბმული ქვეყნის დემოკრატიულ გადარჩენაზე.

თავი 4: დემოკრატიის ფასი — ტვირთი თუ ერთადერთი ფარი? (ეკონომიკა, ინფრასტრუქტურა, უსაფრთხოება)

როგორც ჩანს, იმ ადამიანების ნაწილს, ვინც დღეს ჩუმადაა და დიქტატურისკენ სვლას არ აპროტესტებს, მიაჩნია, რომ შეგუება ყველაზე პრაგმატული გამოსავალია — ის შესაძლებლობას გაძლევს, გადარჩე და „ნაჭამი იყო“. ამ განწყობის შექმნა არის ყველაზე ვერაგი ხრიკი და დიდი სიცრუე, რომელიც ავტორიტარულმა რეჟიმებმა გამოიგონეს. 21-ე საუკუნეში დემოკრატია არ არის მხოლოდ მორალური არჩევანი; ეს არის ყველაზე პრაგმატული ეკონომიკური ბიზნესგეგმა.

დღეს საქართველო დგას გზაჯვარედინზე: ერთ მხარეს არის „სანქციების ბუშტი“ — არასტაბილური, კრიმინალური და იზოლირებული ეკონომიკა; მეორე მხარეს კი — რეალური, გრძელვადიანი განვითარება.

თუ ხელისუფლება შეიცვლება და ქვეყანა დემოკრატიულ რელსებს დაუბრუნდება, ჩვენ შეგვიძლია ჩავერთოთ ახალ გლობალურ არქიტექტურაში. აი, როგორია ჩვენი **„სათადარიგო გეგმა“:**

გეოგრაფია პლუს ნდობა = კაპიტალი

დასავლური კაპიტალი მშიშარაა — მას ეშინია არასტაბილურობის, კლანური მმართველობისა და „თურნავას ბრძანებების“. მაგრამ როგორც კი ქვეყანა ევროკავშირში გაწევრიანების გზას დაუბრუნდება, ეს კაპიტალი მიიღებს სიგნალს: „აქ ფული დაცულია“.

დასავლური ინვესტიციები არ არის მხოლოდ ფული; ეს არის ტექნოლოგია და სტანდარტი. ეს საშუალებას მოგვცემს, გავაკეთოთ ის, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია „ტრამპის დერეფნის“ (სომხეთის მარშრუტის) კონკურენციის პირობებში:

- **პორტების რენესანსი:** ჩვენი მთავარი უპირატესობა სომხეთთან შედარებით არის შავი ზღვა. ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტი უნდა აშენდეს არა ჩინური კრედიტით (რაც პოლიტიკურ ხაფანგს ნიშნავს), არამედ დასავლური

კონსორციუმით. ეს პორტი გახდება „სადაზღვევო პოლისი“: თუ სიუნიქის გზა გადაიტვირთება ან პოლიტიკურად არასტაბილური გახდება, ნაკადებს ანაკლია მიიღებს.

- **რკინიგზის მოდერნიზაცია:** ჩვენი რკინიგზა დღეს საბჭოთა მემკვიდრეობაა. დასავლური ინვესტიციით ის უნდა გახდეს ჩქაროსნული მაგისტრალი, რომელიც ტვირთების გამტარუნარიანობას გააორმაგებს.

რას ნიშნავს ევროპა ჩემი ოჯახისთვის? (არა, ეს არ არის „გარყვნილება“)

პროპაგანდა გეუბნებათ, რომ ევროპა და, ზოგადად, დასავლეთი „ქართველობას წაგართმევთ“. ეს არის აბსურდი. გაიხსენეთ: რუსეთი იყო ის იმპერია, რომელმაც ეკლესიებში ქართული ფრესკები კირით შეათეთრა და ავტოკეფალია გაგვიუქმა. თავისუფალი სამყარო კი არის სივრცე, სადაც საერთაშორისო თანამეგობრობამ გაეროს (UNESCO) დონეზე ქართული ანბანი, პოლიფონია და ქვევრის ღვინო მსოფლიო კულტურულ მემკვიდრეობად აღიარა.

სინამდვილეში, ევროპა გთავაზობთ არა „გარყვნილებას“, არამედ იმას, რაც დღეს ყველაზე მეტად გჭირდებათ:

- **განახევრებული გადასახადები:** დასავლური ტექნოლოგიები (მზისა და ქარის ენერგია) ნიშნავს, რომ ზამთარში გათბობისა და დენის გადასახადი კი არ გაგეზრდებათ, არამედ გაგინახევრდებათ. ჩვენ აღარ ვიქნებით დამოკიდებული რუსულ გაზზე, რომლის ფასსაც კრემლი ხასიათის მიხედვით ცვლის.
- **სიცოცხლის გადარჩენა:** ბოლო წლებში ბავშვთა ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებისა და ონკოლოგიური პროგრამების უდიდესი ნაწილი სწორედ ევროპული და ამერიკული ფონდებით ფინანსდებოდა. „ოცნების“ მიერ დასავლეთისთვის კარის ჩაკეტვა ნიშნავს, რომ ათასობით ბავშვი და პენსიონერი სასიცოცხლოდ აუციელებელი წამლისა და მკურნალობის გარეშე რჩება.
- **შვილები სახლში:** ოჯახი რომ არჩინონ, დღეს მშობლები იძულებულნი არიან, მოხუცების მომვლელებად ან

მშენებლებად იტალიასა და პოლონეთში წავიდნენ. დასავლური ინვესტიცია ნიშნავს, რომ სამუშაო ადგილები აქ, საქართველოში გაჩნდება — მაღალტექნოლოგიურ ქარხნებსა და ფერმებში. ევროპა ნიშნავს იმას, რომ თქვენი შვილი საზღვარგარეთ კი არ გაიქცევა ლუკმა-პურის საშოვნელად, არამედ თავის სამშობლოში იცხოვრებს, შეძლებულად და ღირსეულად.

- **სოფლის მეურნეობა:** რუსული ბაზარი ითხოვს იაფ და უხარისხო პროდუქტს. ევროპული ბაზარი კი ქართულ ღვინოსა და სოფლის ნაწარმში 10-ჯერ მეტს გადაიხდის. ჩვენი გლეხისთვის ევროპა ნიშნავს შრომის დაფასებას და არა კაპიკებზე მუშაობას.

უსაფრთხოება, როგორც სერვისი

რატომ უნდა დაგვიცვას დასავლეთმა? არა იმიტომ, რომ „კარგი ხალხი“ ვართ, არამედ იმიტომ, რომ **საჭირონი** ვიქნებით.

თუ საქართველო გახდება სანდო ჰაბი, სადაც გადის არა „კონტრაბანდული ჩიპები“, არამედ ლეგალური ენერგორესურსები და ტვირთები, ჩვენი უსაფრთხოება ხდება ვაშინგტონის, ბრიუსელის და პეკინის ინტერესიც კი.

- **აზერბაიჯანი და თურქეთი:** მათ სჭირდებათ სტაბილური საქართველო მილსადენებისთვის.
- **ევროკავშირი:** მათ სჭირდებათ შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროკაბელი, რათა კავკასიიდან მწვანე ენერგია მიიღონ.

დემოკრატიული საქართველო არის უსაფრთხოების გარანტია პარტნიორებისთვის. ავტორიტარული საქართველო კი — მუდმივი რისკი, რომ ერთ დღესაც ოლიგარქი გაიღვიძებს და „ონკანს გადაკეტავს“.

საფასური უკვე გადახდილია. 2025 წლის დეკემბერში ევროკავშირმა აამოქმედა სავიზო რეჟიმის შეჩერების მექანიზმი. ჯერჯერობით ეს

ეხება მმართველ ელიტას და დიპლომატიური პასპორტების მფლობელებს, მაგრამ მესიჯი ნათელია: **ევროპის კარი იხურება.**

ის, რაც 2012 წელს ჩვენი მთავარი მონაპოვარი იყო — თავისუფალი გადაადგილება ევროპაში — ახლა ბეწვზე კიდია. თუ ჩვენ დავრჩებით ავტორიტარულ ჭაობში, ქართული პასპორტი კვლავ იქცევა იმად, რაც საბჭოთა დროს იყო — უსარგებლო ქაღალდად, რომლითაც მხოლოდ რუსეთში თუ წახვალთ.

ახალი რეალობა: როცა „ამერიკული ქოლგა“ იხურება

2025 წლის 13 დეკემბერს მიუნხენში გაჟღერებულმა ფრაზამ — „Pax Americana დასრულდა“ — ჩვენი უსაფრთხოების კონცეფცია თავდაყირა დააყენა. გერმანიის კანცლერის, ფრიდრიხ მერცის ეს გაფრთხილება ნიშნავს ერთ რამეს: უფასო უსაფრთხოების დრო წავიდა. თუ ამერიკა ევროპის დაცვის გარანტიებს ამცირებს, კონტინენტი იძულებულია, თავი თავად დაიცვას.

ამ ახალ, სასტიკ სამყაროში, სადაც „ძალა აღმართს ხნავს“, საქართველოსთვის დემოკრატია აღარ არის მხოლოდ „კარგი ტონი“. ეს არის გადარჩენის ერთადერთი სამხედრო სტრატეგია.

რატომ? იმიტომ, რომ ევროპა, რომელიც საკუთარი თავდაცვისთვის ემზადება, პარტნიორად მიიღებს მხოლოდ იმ ქვეყანას, რომლის სისტემაც მისას ჰგავს. **კორუმპირებული ავტოკრატია ვერ იბრძვის.** შეხედეთ რუსეთის არმიას უკრაინაში: კორუფციამ, ტყუილმა და ვერტიკალურმა მორჩილებამ მათი სამხედრო მანქანა „ქაღალდის ვეფხვად“ აქცია.

თუ ჩვენ დავრჩებით „აშხაბადის მოდელში“ — კორუმპირებულ, ჩაკეტილ და არადემოკრატიულ ქვეყნად — ჩვენ ვიქნებით უცხო სხეული ევროპული თავდაცვის არქიტექტურისთვის. როცა პუტინი (როგორც მერცი გვაფრთხილებს) საბჭოთა საზღვრების აღდგენას დაიწყებს, ევროპა არ დაიცავს „პატარა დიქტატურას“. ევროპა დაიცავს მხოლოდ დემოკრატიას, რომელიც მისი ნაწილია.

ამიტომ, როცა „ოცნება“ დემოკრატიულ ინსტიტუტებს ანგრევს, ის სინამდვილეში ჩვენს ჯავშანჟილეტს ხევს.

ტვინები ტვირთების ნაცვლად

ჩვენ არ უნდა ვიყოთ მხოლოდ „ასფალტი“, რომელზეც სხვები დადიან. ჩვენ უნდა ვიყოთ მძღოლებიც და ინჟინრებიც.

დღეს, „ოცნების“ პირობებში, ტენდერებს იგებენ კლანთან დაახლოებული კომპანიები, რაც კლავს ხარისხსა და ინოვაციას. დემოკრატიული ცვლილება მოიტანს გამჭვირვალე ტენდერებს, რაც ნიშნავს:

- **ინოვაციურ განათლებას:** ფული, რომელიც დღეს კორუფციულ „შავ ხვრელებში“ მიდის, მიემართება განათლების რეფორმაზე. ჩვენ გვჭირდება არა მარტო მებაჟეები, არამედ IT სპეციალისტები, ლოგისტიკის მენეჯერები და ინჟინრები, რომლებიც ამ დერეფანს მოემსახურებიან.
- **სოფლის მეურნეობა და ტურიზმი:** როცა ტენდერი პატიოსანია, ინვესტორი შემოდის არა „ატკატის“ მისაცემად, არამედ რეალური ბიზნესის საკეთებლად. ეს ნიშნავს თანამედროვე აგრო-ტექნოლოგიებს და მაღალი კლასის ტურიზმს, და არა მხოლოდ ხაჭაპურის გაყიდვას რუს ტურისტებზე.

არჩევანი ჩვენზეა

საქართველოს არა აქვს იმის ფუფუნება, რომ ჩამორჩენილ ქვეყნად დარჩეს. „ტრამპის დერეფნის“ გახსნა ნიშნავს, რომ ჩვენი ექსკლუზიურობა დასრულდა. ამიერიდან კონკურენცია უნდა მოვიგოთ.

ავტორიტარიზმი მძიმე ტვირთია, რომელიც სირბილში ხელს გვიშლის; დემოკრატია, კანონის უზენაესობა და გამჭვირვალობა კი არის ის „სპორტული ფორმა“, რომელიც აუცილებელია ამ მარათონის მოსაგებად.

ჩვენ ან გავხდებით თანამედროვე, დემოკრატიული ჰაბი, რომელიც მსოფლიოს სჭირდება, ან დავრჩებით ავტორიტარულ, რუსულ-ჩინურ ჩიხად, რომელსაც ყველა გვერდს აუვლის.

თავი 5: მზე დედამიწაზე — დიქტატურის აღსასრული (ტექნოლოგია vs ნავთობი)

რბოლა 2030-იანებისკენ: რატომ ახლა?

ბევრს ჰგონია, რომ თერმობირთვული სინთეზი (Fusion Energy) — „ვარსკვლავის ანთება დედამიწაზე“ — 50 წლით მაინც არის დაშორებული რეალობას. მაგრამ ეს ასე აღარ არის. რატომ ვსაუბრობთ 2030-40-იან წლებზე? იმიტომ, რომ თამაშში ხელოვნური ინტელექტი (AI) ჩაერთო.

სინთეზის მთავარი პრობლემა იყო გავარვარებული პლაზმის (რომელიც მზის ტემპერატურაზე ცხელია) შეკავება მაგნიტურ ველში. პლაზმა არაპროგნოზირებადია, ის გველივით სხლტება. დღეს AI-ს შეუძლია, მილიწამებში გათვალოს პლაზმის ქცევა და მაგნიტები ისე მართოს, რომ რეაქცია არ ჩაქრეს. კომპანიები, როგორიცაა *Helion Energy* და *Commonwealth Fusion Systems*, უკვე აშენებენ რეაქტორებს, რომლებიც 2030-იანებში ქსელში დენს გაუშვებენ.

ეს ნიშნავს უსასრულო, სუფთა ენერგიას. ეს ნიშნავს, რომ ნავთობი, გაზი და ქვანახშირი — დიქტატორების მთავარი ვალუტა — უფასურდება.

აშხაბადის მირაჟი vs. ენერგეტიკული მზე

მოდით, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ პრემიერის ვიზიტი თურქმენეთში. რას წარმოადგენს ეს ქვეყანა? ეს არის სახელმწიფო, რომელიც არსებობს მხოლოდ ერთი რამის — ბუნებრივი აირის — ხარჯზე. მათი „თეთრი მარმარილოს“ სასახლეები გაზის ფულით არის აშენებული. ეს არის „გუშინდელი დღის“ სიმდიდრე.

ჩვენი ხელისუფლება ცდილობს დაგვაჯეროს, რომ მომავალი აშხაბადშია — გაზის მილსადენებსა და ენერგო-ვაჭრობაში. მაგრამ სანამ ისინი აშხაბადში სადღეგრძელოებს სვამენ, დასავლურ ლაბორატორიებში უკვე ინთება „მზე დედამიწაზე“ — თერმობირთვული სინთეზი.

2030-იან წლებში, როცა სინთეზური ენერგია ქსელში ჩაირთვება, ბუნებრივი აირი ენერგეტიკული ტახტიდან ჩამოვარდება.

მომავალი უკვე აქ არის. სანამ „ოცნება“ გვაიძულებს, რუსეთისგან ენერგომოწყალებას ველოდოთ, 2026 წელს დასავლური ტექნოლოგიური გარღვევები ყოველდღიურობას ცვლის: პეროვსკიტ-სილიციუმის მზის უჯრედებმა 34%-იან ეფექტურობას მიაღწია, რაც მზის პანელების მეტ ეფექტურობასა და დენის გადასახადის განახევრებას ნიშნავს; მედიცინაში mRNA პერსონალიზებულმა ვაქცინებმა კიბოს რეციდივის რისკი 49%-ით შეამცირა; ხოლო ახალი ოპტიკური სენსორები (Sensura) დიაბეტით დაავადებულებს სისხლის უმტკივნეულო, არაინვაზიური კონტროლის საშუალებას აძლევს.

რეალური თავისუფლება ეს არის — როცა არა ხარ დამოკიდებული დიქტატორის „ონკანზე“. გაზი გახდება უბრალოდ ქიმიური ნედლეული და არა გეოპოლიტიკური იარაღი. იმ მომენტში აშხაბადის მარმარილოს ქალაქი გაკოტრდება, რუსეთის „ბენზინგასამართი სადგური“ დაიხურება.

დიქტატორების ძალაუფლება ნავთობსა და გაზზე დგას. ტექნოლოგია მას ამ საფუძველს აცლის. ჩვენი არჩევანი აქაც ნათელია:

- ან მივყვებით „ოცნებას“ აშხაბადისკენ, რომელიც 10-15 წელიწადში ეკონომიკურ მუზეუმად იქცევა;
- ან ვირჩევთ დასავლურ ტექნოლოგიურ პროგრესს, რომელიც ენერგეტიკულ დამოუკიდებლობასა და ნამდვილ თავისუფლებას მოგვიტანს.

განწირულები როდი ვართ, „მომავალი ჩვენია“!

„ქართული ოცნება“ და რუსეთი ცდილობენ დაგვაჯერონ, რომ ისინი უძლეველები არიან, რომ დიქტატურა მარადიულია და ბრძოლას აზრი არა აქვს. ეს არის მათი მთავარი ტყუილი.

სინამდვილეში, ისინი ჰგვანან ძველ, ჟანგიან მექანიზმს, რომელიც ახალ დროში ვეღარ მუშაობს. მათ ეშინიათ მომავლის, რადგან მომავალში ნავთობი და შიში ვეღარ იყიდის ძალაუფლებას.

ჩვენ აბსტრაქტული იდეებისთვის როდი ვიბრძვით. ვიბრძვით ძალიან უბრალო, მაგრამ სასიცოცხლო რამეებისთვის:

- უფლებისთვის, რომ ჩვენი შვილები იზრდებოდნენ ჯანსაღ გარემოში და არა გამონაბოლქვში;
- უფლებისთვის, რომ არ გვეშინოდეს ხვალინდელი დღისა და სიბერის;
- უფლებისთვის, რომ ღირსეულად ვიცხოვროთ საკუთარ მიწაზე და არ ვიქცეთ ემიგრანტებად.

ივანიშვილის პოლიტიკა არის **„ბნელი ორმო“**, რომელშიც ჩაგვაგდეს და გვარწმუნებენ, რომ იქიდან ამოსვლა შეუძლებელია. მაგრამ ჩვენ ვხედავთ სინათლეს და შეგვწევს ძალა, სიბნელეს თავი დავაღწიოთ. 2012-ში თქვენ ერთხელ უკვე დაამარცხეთ ძალადობა. თქვენ გაქვთ ეს ძალა.

დღეს გამარჯვება ნიშნავს არა ვიღაცის დამარცხებას, არამედ საკუთარი ოჯახების გადარჩენას.

„აწმყო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენია“ — ილიას ეს სიტყვები დღეს ისეა აქტუალური, როგორც არასდროს. ნუ შეგეშინდებათ. ჩვენ ბევრნი ვართ, ჩვენ მართლები ვართ და აუცილებლად გავიმარჯვებთ — მშვიდობიანად, ღირსეულად და სამუდამოდ.